LG

შპს "ლუმაქ ჯგუფი"

დასკვნა

ქ. თბილისში, დიდი დიღმის მ/რ III-ში 22-ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და 14-ე კორპუსს შორის ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლზე სართულების დამატებასთან დაკავშირებით

დირექტორი: შ. ჟუთათელაძე

თბილისი 2015წ.

დასკვნა

ქ. თბილისში, დიდი დიღმის მ/რ III-ში 22-ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და 14-ე კორპუსს შორის ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლზე სართულების დამატებასთან დაკავშირებით

მშენებარე შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, დიდი დიღმის მ/რ III-ში 22-ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და 14-ე კორპუსს შორის.

საპროექტო შენობა შედგება ორი ნაკვეთურისაგან ბლოკი "A" შედგება შვიდი მიწისზედა სართულისაგან და ბლოკი "B" შედგება რვა მიწისზედა სართულისაგან;

"A" და "B" ბლოკი ერთმანეთისაგან გამოყოფილია დეფორმაციული ნაკერით, რომელიც აგრეთვე ანტისეისმური ნაკერის ფუნქციასაც ასრულებს. ორივე ბლოკი გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა რომლის მაქსიმალური გაბარიტული ზომები ღერძებში ბლოკი "A" და ბლოკი "B"-სთვის 17.4X24.2 მ-ია. სართულის სიმაღლე ცვალებადია: h=3.00; 3.60; 3.30 მ-ია. "A" და "B" ბლოკებს გააჩნია ასევე ერთი მიწისქვეშა ავტოსადგომის სართული, რომლის შემომზღუდავ კონსტრუქციას წარმოადგენს h=40 ; სმ. სისქის M150 მარკის ბეტონის ბლოკები, ყოველ ყოველ წყობაში დაარმირდება Bp-I,Φ4მმ. მავთულოვანი არმატურებით M200 მარკის დუღაბზე.

გამომდინარე საინჟინრო გეოლოგიური კვლევებიდან, აგრთვე შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან, შენობის საძირკვლად მიღებული იქნა h=80 სმ. სისქის რკინაბეტონის მონოლითური ფილა, რომელიც 40სმ.-იანი ხრეშის ბალიშის მეშვეობით ეფუძნება მყარპლასტიკურ თიხოვან გრუნტს რომლის წინაღობა R0=2.3კგ/სმ2. E=180კგ/სმ^2.

საპროექტო შენობა ჩარჩოკავშირებიანი ტიპისაა, რომლის მზიდი ელემენტებია: რკინაბეტონის სვეტები, განივი კვეთით 40X40სმ. ; 50X50 სმ. ;60X60 სმ; გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილები h=16სმ. რიგელები განივი კვეთით 30X50სმ; 40X50სმ; 50X60; 50X70სმ; კიბის პანდუსები და სართულშორისი ბაქნები გადაწყვეტილია h=18სმ. სისქის რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

მიწისქვეშა კონსტრუქციებში გათვალისწინებულია ჰიდროიზოლაციის მოწყობა.

ქვაბულის ამოღების შემდეგ პროექტით გათვალისწინებულია ფუძე-გრუნტის და ხრეშის ბალიშის დატკეპნა ვიბროკატოკის მეშვეობით;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით- II.

შენობის გარე შემომზღუდავი კედლები პროექტის მიხედვით განხორციელებულია მსუბუქი შემავსებლით (არაუმეტეს 1.2 ტ/მ^3)

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი. შენობის 0.00 ნიშნული შეესაბამება +515.8 ნიშნულს ბალტიის ზღვის დონიდან.

თოვლის ნორმატიული დატვირთვაა 500 პა, ხოლო ქარის ნორმატიული დატვირთვა 850 პა.

პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა განეკუთვნება II კლასს.

შენობების მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთებზე და აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე, ჩატარებულია სერთიფიცირებული საანგარიშო კომპლექსი Лира 9.6-ის საშუალებით.

კორექტირებული არქიტექტურული ნახაზების მიხედვით განსაზღვრულია "A" ბლოკზე სამი სართულის დამატება ხოლო "B" ბლოკზე ორი სართულის დამატება; მშენებლობის დაწყებამდე, შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისას და კონსტრუქციული მუშა ნახაზების დამუშავებისას გათვალისწინებული იყო დამკვეთის მოთხოვნით ორივე ბლოკზე დამატებელი ორი სართული რაც ახლა აღნიშნულია კონსტრუქციული პროექტის განმარტებით ბარათშიც. აქედან გამომდინარე "B" ბლოკზე დამატებული ორი სართულის დაშენება საფრთხეს არ უქმნის შენობის სიხისტის სიმტკიცესა და მდგრადობაზე; რაც შეეხება "A" ბლოკს იმის გათვალისწინებით, რომ შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისას და კონსტრუქციული მუშა ნახაზების დამუშავებისას წინასწარ გათვალისწინებული იყო ორი დამატებითი სართული და ვინაიდან მშენებლობისას კედლების წყობისას მშენებელი ორგანიზაციის მიერ გამოყენებული იქნება მსუბუქი პემზის საკედლე ბლოკები პრაქტიკულად შესაძლებლად მიგვაჩნია "A" ბლოკზე დამატებით მესამე არასრული სართულის დამატებაც.

კონსტრუქტორი: /თ. მაცაბერიძე/

კონსტრუქტორი: /ტ. ზაკუტაშვილი/

თბილისი 2015წ.